

F-171  
1380



საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

გრანატა  
და  
მცხოვრებლის  
ქადაგი

თბილისი  
1980

თებერვალი №2 ФЕВРАЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И  
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ  
1980

ՀԵՂԱՔԵՐՈՐԾ — մ. ՔՇՐԿՈՅՈՏՋ  
ԾԵՔԻՀԵՂԱՔԵՐՈՐԾ — ա. ՏԱԿՇՐԱՋ  
ԿՈՂԵՔԵՐՈՐԾ — լ. ՖՈԼՈՏՋ

Հաջայցա ասելիոնձա 7-VII-80 թ. եղանակարութա դասածեվճագ 2/VIII-80 թ.;  
անալիքոնձու ზոմա 6×9; յալալու չոմա 60×84; նախշու տածախ 4,8;  
սալորու պահանջմանը տածախ 3,40;

Մայզետա № 744

ՍԵ 07554

Ժողով 5000

Ե Պ Ճ Խ Ը

Տպագործութեալու և սու զանառութեալու և աթոնութեալու և սրամձու, Խուսակութեալու վ. № 7.  
Տպոգրաֆիա Մինիստերստվա պրօսվեշտնիա ՀՀՀՀ, Խուսակութեալու 7.

სახართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის

1 ნოემბრის ბრძანება № 687

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით მუშაյთა დაჭილდობის უსახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის მომზადებასა და მის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჭილდობულ იქნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:

- E-4770
1. აბაშიძე ელენე გურამის ასული — ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
  2. ბენდელიანი თინა იაკობის ასული — თბილისის მასწავლებელთა დახმარებელის საქალაქო ინსტიტუტის მეთოდისტი
  3. გოგოლაძე ნადია გერასიმეს ასული — ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
  4. ერაძე მზია დარისპანის ასული — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს კადრების ინსპექტორი
  5. თელია ვახტანგ ნიკოლოზის ძე — ქ. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დირექტორი
  6. კოხტაშვილი მზია გიორგის ასული — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
  7. მეტრეველი გულიკო ალექსანდრეს ასული — ქ. თბილისის 75-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
  8. მნათობიშვილი ლევან სიმონის ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
  9. ფაჩულია ღოდო ვარლამის ასული — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდური კაბინეტის სასკოლო ინსპექტორი
  10. გუნდა ტატიანა ივანეს ასული — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი
  11. კედია ნაპოლეონ ალექსანდრეს ძე — ოჩამჩირის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
  12. დარცმელია გუგული ერასტის ასული — აფხაზეთის ასსრ



- განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის მდივანი განათლების განყოფილების საატესტაციო მუშა ჯგუფის მდივანი
13. შაქარაძე რეზო ყედირის ძე — ქედის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების საატესტაციო მუშა ჯგუფის მდივანი
14. ფუტკარაძე ამირან ბინალის ძე — შუახევის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
15. პაპივი მედეა კონსტანტინეს ასული — სამხრეთ ოსეთის ა/ო საატესტაციო კომისიის მდივანი.
16. პაპიძე ალექსანდრე პლატონის ძე — ქ. ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
17. კვარაცხელია ეთერ სიმონის ასული — ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე
18. ლონდარიძე შალვა ივანეს ძე — ახალციხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
19. ბერლავა კლარა კუზმას ასული — ბოლნისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი
20. შავდათუაშვილი ეთერ ირაკლის ასული — გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
21. ისმაილოვი ჭალალ ნამაზ ოლლი — დმანისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
22. გუმბერიძე მამია კლიმენტის ძე — ვანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
23. მგელიაშვილი კონსტანტინე შულარას ძე — თიანეთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
24. გუგუმბერიძე როზა ნიკოლოზის ასული — თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
25. ლიპარტელიანი ნანული გელას ასული — ლენტეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
26. ბუაჩიძე ენდი აფრასიონის ასული — პროფკავშირის ორგანიზიდის რაიონმის თავმჯდომარე
27. ვოთოშია კარლო კარლოს ძე — სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
28. ქვეთარაძე ცაცინო ივტიხის ასული — საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
29. ჯინორიძე კონსტანტინე ამბაკოს ძე — ცხაკაიას რაიონის

განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

30. შახბაზოვი სპირიდონ აბრამის ძე — წალეის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

31. კაკრიაშვილი ნაბო დავითის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების ატესტაციის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

32. ცაგარეიშვილი ნარიმან იასონის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების ატესტაციის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროფესიული რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1979 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მინისტრი

ო. ჩინელაძე

საქართველოს, სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1879 წლის 13 ნოემბრის

გ ა დ ა ზ ფ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1978—1979  
სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღ-  
ლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების  
შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარე-  
ბულმა საინსპექტორო შემოწმებამ და გამოსაშვები და უმაღლეს  
სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხად-  
ყო, რომ სკოლების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველ-  
ყოფს კურსდამთავრებულთა ჯეროვან მოქმედებას მოქმედი პროგ-  
რამების ფარგლებში. სამუალო სკოლადამთავრებულთა საბოლოო  
ნიშნები სრულად არ ასახავენ მათ რეალურ ცოდნის დონეს. ცალ-  
კეულ სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში მოსწავლეთა ცოდნის  
შემოწმება—შეფასებაში კვლავ შეიმჩნევა არაობიერტურობის, ლიბე-  
რალიზმისა და პროტეგციონიზმის შემთხვევები. რიგ სკოლებში გა-  
მოსაშვებ გამოცდებზე აღილი ქონდა საგამოცდო ინსტრუქციის  
უხეში დარღვევის ფაქტებს.

დაუმსახურებლად მიღებულ მაღალ ნიშნებს ამოფარებულმა  
მოსწავლეებმა არასრულყოფილად იციან პროგრამული მისალა სის-  
ტავლო გეგმით გათვალისწინებულ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებ-  
ში და მიმართავენ რეპეტიტორის, რათა კერძოდ მოქმედონ უმაღ-  
ლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ყოველივე ეს ნაყოფიერ ნია-  
დაგს ქმნის არალეგალური კერძო რეპეტიტორების განვითარებისათ-  
ვის და ზიანს აყენებს სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტს.

ნიშანდობლივია, რომ ბევრ შემთხვევაში სკოლა მოქცეულია  
იმ მშობლების არაჯანსაღი გავლენის ქვეშ, რომლებიც მოითხოვენ  
თავიანთი შვილებისათვის დაუმსახურებლად მაღალი ნიშნების და-  
წერას და ჯილდოების გაცემას, ხოლო იქ, სადაც ეს არ ხერხდება,  
ცდილობენ შვილი სხვა სკოლას შეაფარონ. ასეთი „აქტიური“ მშობ-  
ლების ზეგავლენით ზოგიერთი სკოლის დირექტორი და მასწავლე-  
ბელი გამიზნულად უმაღლებს საბოლოო ნიშნებს მოსწავლეთა იმ

ნაწილს, რომელიც წინასწარ არის აღიარებული როგორც „პოტენციალური ციალური მედალოსნები“ და უფრო მეტს ზრუნავს ხუთოსან და მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურ ზრდაზე, ვიდრე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის, ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა მინიმუმმდე დაყვანისათვის, რაც საყოველთაო საშუალო განათლების კანონის პირობებში სკოლის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ფუნქციაა.

ზემოაღნიშნული და სხვა უხეში დარღვევები იმაზე მიუთითებს, რომ სახალხო განათლების ოდგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს სათანადო წესრიგის დამყარება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში. მათ ბრძოლას სასკოლო ცხოვრების ამ მანქის წინააღმდეგ, უმთავრესად, შემთხვევითი და ეპიზოდური ხასიათი აქვს. განათლების განყოფილებებსა და სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში არ არის შექმნილი მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და შეურიგებლობის ატმოსფერო სკოლის იმ მუშაქთა მიმართ, რომლებიც უხეშად არ ვევენ ზოგადსაგანმნათლებლო სკოლის წესდებას და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, რითაც ხელს უწყობენ ოქროს მედლისა და მაღალქულიანი ატესტატის უსაფუძვლო მაძიებელთა მომრავლებას. უფრო მეტიც, ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება, მათი სარეცენზიო კომისიები უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ოქროს მედლით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვის საქმეს, გამოავლინეს აშკარალიბერალიზმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინეს ისეთი ნაშრომები, რომლებიც არ იმსახურებენ შეფასება „5“-ს.

სკოლის, რაიონული და საქალაქო კომისიების მიერ ზოგიერთი ოქროს მედლის კანდიდატის საგამოცლო ნაშრომებზე შედგენილი რეცენზიები არ შეესაბამებოდა ნამუშევრების ფაქტიურ დონეს. ნაშრომები ფასდებოდა „5“-ზე მაშინაც კი, როდესაც თემის შინაარსი არ პასუხობდა სათაურს და არასრულყოფილად იყო გაშლილი. ნაშრომებში დაშვებული იყო ფაქტობრივი, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები. მათემატიკაში „5“-ზე შეფასებულ ნამუშევრებში არ ჩანდა მოსწავლეთა მათემატიკური მსჯელობისა და



დასაბუთების, ახალი სიმბოლიკის გამოყენების უნარი და სხვ. უმაღლესი გამოცემა და სასწავლო იუნიტი შეფასებული საგამოცდო ნაშრომების ნაწილში გაპარული იყო ორი და მეტი შეცდომა. ყოველივე ამის გამო გასულ სასწავლო წელს განათლების სამინისტროში 51 ოქროს მედლის კანდიდატს უარი ეთვია დაჯილდოებაზე.

სასკოლო, რაიონული და საქალაქო კომისიების ოქროს მედლის მაძიებელთა ცოდნის ლიბერალურმა შეფასებამ და შემდგომში მათ მიმართ განათლების სამინისტროს მიერ მიღებულმა ობიექტურმა და პრინციპულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია მშობელთა ერთი ნაწილის მიერ საჩივრების დაგზავნა სხვადასხვა ორგანოებში. საჩივრების უმრავლესობაში ოღნიშნული იყო, რომ მათი შვილები წლების მანძილზე „ხუთოსნებად“ ითვლებოდნენ. ამ მოსწავლეთა საგამოცდო ნაშრომებში დაშვებული შეცდომები კი მიუთითებენ ლიტერატურისა და მათემატიკის სასკოლო კურსის სხვადასხვა საკითხებში მოსწავლეთა არამყარ და არასისტემატურ ცოდნაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებმა, აბიტურიენტთა წერითი ნაშრომების ანალიზმა კიდევ უფრო სრულად გამოავლინა ხარვეზები საშუალო სკოლადამთავრებულთა მიერ პროგრამული მასალის ცოდნაში და ნაკლოვანებები მათი ცოდნის ობიექტურად შეფასებაში. სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი, მათ შორის მაღალქულიანი ატესტატის მქონენი და ცალკეული მედალოსნები, ვერ ახერხებენ მისაღებ გამოცდებზე დადგებითი ნიმნის მიღებას. ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე არადამაყმაფილებელი შეფასება მიიღო 3457 აბიტურიენტმა, მათ შორის თხუთმეტმა ოქროს მედალოსანმა, 1079 — „5“ ქულიანი, 2363 — „4,5“ ქულიანი ატესტატის მფლობელმა. კურსდამთავრებულთა საგრძნობმა ნაწილმა განსაკუთრებით არადამაყმაფოფილებელი მომზადება გამოამჟღვნა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

1978—1979 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვები და 1979 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავ-

ლებლებში მისაღები გამოცდების დროს გამოვლინებული ნაკლებულების აღმოფხერის მიზნით კოლეგიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ი ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

1.1. კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, განიხილონ 1978—1979 სასწავლო წელს გამოსაშვები და 1979 წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

1.2. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელების პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადონ ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს ოქროს მედლისა და მაღალქულიანი ატესტატის უსაფუძვლო მაძიებელთა მომრავლებას, დეზორგანიზაცია შეაქვს კურსდამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციაში;

— განიხილონ იმ მასწავლებელთა და მეთოდისტთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ კომისიებში და თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ნამუშევრების გასწორებისას გამოვლინეს არავალიფიციურობა, უპრინციპობა და ლიბერალიზმი;

1.3. უმეაცრესი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელთა ხუთოსანმა კურსდამთავრებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურეს. მათთვის კვირეული დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დამამთავრებელ კლასებში სათების მიცემის მიზანშეწონილობა;

1.4. მოსწავლეთა ცოდნაში გამოვლინებული ხარვეზების აღმო-

საფხვრელად 1979—1980 სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს დასა-  
ამ გადაწყვეტილებისა და სკოლების სამმართველოს ცნობაში დასა-  
ხელებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გააანა-  
ლიზონ ცალკეულ საგნებში პროგრამული მასალის ათვისების მდგო-  
მარება და განხილვის შედეგები აცნობონ განათლების სამინისტ-  
როს 1980 წლის 1 ივნისამდე.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონ-  
ტროლისათვის, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშ-  
ვებული ლიბერალიზმისათვის და დაბალი მომზადების მქონე კურს-  
დამთავრებულთა გამოშვებისათვის სკოლის დირექტორები: მ. ხეთი-  
სიაშვილი (ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლა), დ. ცინაძე (ასპინძის  
საშუალო სკოლა), დ. სტეცენკო (თბილისის 38-ე საშუალო სკოლა)  
იმსახურებენ სამუშაოდან განთავისუფლებას, რისთვისაც დაისვას  
სკინთი სათანადო საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების  
წინაშე მათი, როგორც დეპუტატების, სამუშაოდან განთავისუფლე-  
ბის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

3. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დაშვებული ლიბე-  
რალიზმისათვის, მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლი-  
სათვის, სკოლების დირექტორებს: ნ. ღამბაშიძეს (ღმანისის რაიო-  
ნის სოფელ ჯავახის საშუალო სკოლა), ა. შათირიშვილს (ხაშურის  
მე-4 საშუალო სკოლა), ა. ქერაშვილს (სიღნაღის რაიონის სოფელ  
ძველი ანაგის საშუალო სკოლა), შ. აბაშიძეს (საჩხერის რაიონის  
სოფელ ჭალის საშუალო სკოლა), ნ. ოთარაშვილის (გურჯაანის რაი-  
ონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლა), პ. გზირიშვილს (აღიგენის  
რაიონის სოფელ უდეს 1-ლი საშუალო სკოლა), რ. ნეფარიძეს (ჭავ-  
თურის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. წერეთელს (ჭავთურის მე-2 საშუ-  
ალო სკოლა), ა. წიკლაშვილს (თელავის მე-3 საშუალო სკოლა), ლ. კა-  
კულიას (თელავის მე-4 საშუალო სკოლა), ე. აღიყაშვილს (კასპის 1-  
ლი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს), ნ. ფილიშვილს  
(თბილისის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემ-  
სრულებელს) გამოცხადოთ სასტიკი საკვედური.

სკოლის დირექტორებს: შ. გალდავაძეს (თბილისის მე-12 სა-  
შუალო სკოლა), კ. სიმონგულოვს (თბილისის 26-ე საშუალო სკო-  
ლა), მ. ლომიძეს (თბილისის 55-ე საშუალო სკოლა), გ. ეპიტაშვილს  
(თბილისის 57-ე საშუალო სკოლა), რ. სურგულაძეს (თბილისის 101-ე

საშუალო სკოლა), 6. ქავთარაძეს (თბილისის 123-ე საშუალო სკოლი), ვ. ჩიტიშვილს (თბილისის 130-ე საშუალო სკოლა), ა. ჩაფიძეს (თბილისის 147-ე საშუალო სკოლა), გ. ღლონტს (ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა), 6. შუბლაძეს (მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა), ს. ბოსტოლანაშვილს (სილნალის რაიონის სოფელ წნორის მე-3 საშუალო სკოლა), მ. ხალვაშს (ლანჩხეუთის 1-ლი საშუალო სკოლა), დ. მოისწრაფიშვილს (ლანჩხეუთის მე-3 საშუალო სკოლა), გ. ჯაფარიძეს (მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. გაგლოვს (ქარელის მე-3 საშუალო სკოლა), ა. ნიზაძეს (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა), ვ. პაიჭაძეს (რუსთავის მე-17 საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყველური.

4. აღინიშნოს თბილისის 23-ე, 56-ე, მე-60, 134-ე, 139-ე, 124-ე, 154-ე, 49-ე, 53-ე, 144-ე, 153-ე, ქ. ქუთაისის მე-2, მე-4, მე-19, 32-ე, ჭიათურის მე-2, ტყიბულის მე-6, ქ. ზუგდიდის მე-5, წყალტუბოს რუსული, ბათუმის მე-6, მე-17, ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის, ქობულეთის რაიონის სოფლების წყავარის, გიორგაძეების, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის, გალის რაიონის სოფელ ნაბაევის, ოჩამჩირეს 1-ლი და კოჩარის, მესტიის რაიონის სოფელ მულახის, თიანეთის საშუალო, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის, ცხახაის 1-ლი და მე-2, ჩხორბოწყუს 1-ლი და სოფელ ჭოლის, ამბროლაურის 1-ლი და მე-2, ამეტის 1-ლი და მე-2, ღუშეთის მე-2, ლაგოდების 1-ლი და მე-2, წალკის რაიონის სოფელ ბერტაშენის საშუალო სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების არადამაყმაყოფილებელი მუშაობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაშვებული დარღვევებისათვის სკოლის დირექტორებს: 6. დუმბაძეს (თბილისის მე-5 საშუალო სკოლა), შ. მანჯგალაძეს (თბილისის მე-10 საშუალო სკოლა), ს. მელაძეს (თბილისის 29-ე საშუალო სკოლა), მ. მგელაძეს (თბილისის 30-ე საშუალო სკოლა), გ. გელაშვილს (თბილისის 48-ე საშუალო სკოლა), ე. რუხაძეს (თბილისის 140-ე საშუალო სკოლა), ი. ხაჩიძეს (თბილისის 155-ე საშუალო სკოლა), ლ. მებურიშვილს (თბილისის 161-ე საშუალო სკოლა) თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მიერ დაედოთ მკაცრი აღმინისტრაციული სასჯელი.



6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სიღნალის საშუალო სკოლების განთავისუფლებულია დაკავებული დირექტორები ე. ჩალაბაშვილი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. დ. ზუბიტაშვილი (ყვარლის მე-3 საშუალო სკოლა) ახლადდანიშნულია, ხოლო დ. ხუსკივაძე (კასპის 1-ლი საშუალო სკოლა) და დ. ადეიშვილი (ვანის შუამთის საშუალო სკოლა) გადაყვანილნი არიან სხვა სამუშაოზე.

7. ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებისათვის, არაპრინციპულობისათვის და სარეცენზიო კომისიების არასათანადო ხელმძღვანელობისათვის ქ. თბილისის სახალხო განათლების სამართველოს სასკოლო ინსპექტორებს მ. ცხოიძესა და მ. თათვევოსოვს, ქ. თბილისის ოქტომბრის, პირველი მაისისა და ორჯონიქიძის რაიონების სარეცენზიო კომისიების თავმჯდომარებებს ს. ტიტონანს, დ. ბუაძეს, ნ. გოგოლაძეს, გ. ჯავახიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

8. დაქვემდებარებული საშუალო სკოლების მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, რამაც გამოიწვია ზოგ სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში უხეში შეცდომები, ქ. თბილისის ოქტომბრის, კასპის, ყვარლის, ასპინძისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს შ. გორგიძეს, გ. შავჭარაშვილს, რ. შავგულიძეს, დ. ზედგენიძეს და შ. ლაბაძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური, ხოლო დმანისისა და აღიგნის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს მ. თაბაგარსა და პ. მეტაბიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკოლების მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის სიღნალის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ელ. დალაქიშვილს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი.

9. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომებისათვის, რაც გამოიხატება საგამოცდო ინსტრუქციის უხეშდარღვევებსა და სკოლების მუშაობაზე არასათანადო კონტროლით, მარნეულის რაიონისა და წყალტუბოს ზონის განათლების განყოფილებათა გამგეებს გ. ნაბიევასა და შ. ინასარიძეს გამოეცხადოთ საყვედური.

10. გადაწყვეტილების შინაარსი და სკოლების სამმართველოს ცნობა დაიბეჭდოს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე).

11. აღნიშნული გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1978-1979 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდებისა და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების „შესახებ“ დაეგზავნოს სახალხო განათლების აღგილობრივ ორგანოებს და დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

12. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს სკოლების სამმართველომ (ამს. კ. სუჯაშვილი),

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი

ო. ჩინჩლაძე

հյեսպյածլոյն Ցողացնացանձանատլեծլու Տյոռլեթի 1978—1979  
Տասնվարություն վլուս ցամուսա՛Շցըծ ցամուլեծնա և Կյուրիկածացրեծլու-  
տա Շմալլու Տասնվարություն մուսալեծ ցամուլեծնա Շեքեցըծն  
Ց Ե Տ Ա Տ Ե Ց

1978—1979 Տասնվարություն վլուս հյեսպյածլոյն Տյոռլեթի, ժօրո-  
տագագ, ռարգանոնչեծլուա և ճանի՛ցու և Տացամուլու օնստրույշըւուն Շե-  
սաձամուսոնիտ Բարարա ցամուսա՛Շցըծ և Տա՛Շուալու ցանատլեծնա Յուսպ-  
Յարիշ Բասաձարեցելու ցամուլեծնա. Տյոռլուս Ելլմմծլցանցուլեծնա և Տա-  
մաժավալլեցելու Տացրմնոնի նախունու մալալու Տասլցեսնմցեծլունին ցա-  
ցրմնոնիտ մույցու ցամուսա՛Շցըծ ցամուլեծնա մալալ գոնեշ Բա-  
րարեցնա և մուժավալլետա ցունուս ածոյեյթուրա Շեքասեցն Տայ-  
մեց.

Ամաստան յրտագ, հոգորհ Տանեսպյեյթորու Շեմովմեծեցն գաս-  
թուրեցնա, չեր կուրեց մույլ հոց Տյոռլեթի գածալ գոնեշ գցաս  
Ելլմմծլցանցունին և Կոնդրունու, Տաժուրու Կուրագունա առ Ելլուցա  
մուժավալլետա ցունուս Տարուսես, մուս Տոլրմես, Ելլավալեցն Տուստրումա-  
թուրունին և Տեշնեծլունին, Ցողուրու Տյոռլա՛Շու ալմոցեցրունու  
առ արուս մուժավալլետա ցունուս Շեքասեցն Տայմեշ արաօնեյթուրո-  
նա, լուներալունին, Տրույեյցունունին, Մատասլցեսնմցեծլունա. Ցարալա  
ամուս, Տյոռլուս Ցողուրունու Ելլմմծլցանցունա չեր Միջնացուլու ցա-  
մուլեծնա Տատանագուն մոմինացենա, Տեղացոցուրու Կուրեյթուց-  
նա մոնունուն Տացրմնուս Տատանագուն մոմինացենա Տասլցեսնացեն  
և մոնշենելունա լունուս մույցունուն մալալ գոնեշ Բասաբարեցելուա.

Մուժավալլետա ցունուս Շեքասեցն Տայմեշ արաօնեյթուրունին,  
լուներալունին և Տրույեյցունունին Ծայցունա Մույցու Տոլրմա Տոլրմա-  
նուս Տա՛Շուալու Տյոռլուս Տեղացոցուրու Կուրեյթունու, Տագաւոր Ալոննինա  
Տյոռլուս Վյեսլունուս և Տացամուլու օնստրույշըւուն Մեշն Ճարլուցա  
Շայերեցնու. Տյոռլամ և ցանատլեծնա ցանկուունուն ցամուլեծնա Յա-  
րարեց Ճածալու մոմտեսունելունուս Յուտարեցնա. Օնտրունա-Տանցագո-  
ւեցնում ցունուս ցամուլեծնա Բարարեցնա Տացամուլու Կոմուսուն Մեշն  
Շայերեցնու Տասնվարություն և Տացամուլու Վյետրու Կանգունա Քանդու

ცოდნის შეფასებისას. სკოლის დირექტორმა, ამჯერად კომისიის მინისტრი წევრმა და გამომცდელმა მასწავლებელმა ვ. ჩალაბაშვილმა, ვერ შეძლო დაერწმუნებინა კომისიის წევრები და ოქროს მედლის კან-დიდატები თ. დარჩიაშვილი, ნ. ბერიშვილი და ლ. ნაცვლიშვილი ცოდნის შეფასების ობიექტურობაში. შეიტყო რა, რომ მისი ქალი-შვილის, ოქროს მედლის კანდიდატის მ. ზ. ოსიძოვის წერის საგმო-ცდო ნამუშევარი მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში განათლების სამინისტროში „4“-ზე შეფასდა, მან ეს წყენა გადაიტანა ოქროს მედლის სხვა კანდიდატებზე და ტენდენციურად ჩატარა მათი გა-მოკითხვა, რაც საბჭოთა პედაგოგისათვის შეუფერებელ საქციელად უნდა ჩაითვალოს. ვ. ჩალაბაშვილი წლების განმავლობაში თვითონ უწერდა „5“-ებს იმათ, ვისაც გამოსაშვებ გამოცდაზე „4“-იანები დაუწერა, არ გაუწია ანგარიში საგამოცდო კომისიის წევრთა აზრს, მოქმედებდა მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, საგა-მოცდო კომისიის წევრებმა კი ხელი არ მოაწერეს საგამოცდო ოქმს და სამი დღის განმავლობაში ღიად დატოვეს მედლის კანდიდატების ნიმუშები. ამ საქმეში ჭროვან სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ნ. ტალიაშვილი და განათლების განყოფი-ლების გამგე იგივე საგამოცდო კომისიის წევრი ელ. დალაქიშვილი, რომელმაც ამ საკითხის გადაწყვეტაში გამოიჩინა უპრინციპობა და არ მიიღო ზომები საგამოცდო ინსტრუქციის დარღვევის აღსაკვე-თად.

გამოსაშვები გამოცდების ჩატარება ინსტრუქციის უხეში დარ-ღვევებით აღინიშნა მარნეულის, საჩერის, წყალტუბოსა და თერ-ჭოლის რაიონების რიგ სკოლებში. მოსწავლეთა წერითი ნიმუშევ-რების გასწორებისა და შეფასების გარეშე ჩატარდა ზეპირი გამოც-დები ქართულ ლიტერატურაში მარნეულის რაიონის კაჩაგანის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. მ. ალიევა), წერეთლის საშუა-ლო სკოლაში (დირექტორი თ. მოდებაძე) ნაწერები 5 იქნისსაც არ იყო გასწორებული, ხოლო ამ სკოლის მოსწავლეთა საგამოცდო ნა-მუშევრები საგნის მასწავლებელს მ. პ. აბრამიშვილს სახლში ქონდა წალებული. ამავე რაიონის სკოლებში ადგილი ქონდა გამოცდებზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაგვიანებით გამოცხადების შემ-თხვევებს. იყო ფაქტები, როდესაც გამოცდებს არ ესწრებოდნენ



განათლების განყოფილების წარმომადგენლები. საგამოცდო და საჭრავლებულის კონსულტაციით ცხრილები ინსტრუქციის დარღვევით იქნა შედგენილი კაჩაგანის მე-2, ტაზევინდის, ლექბადინის სკოლებში (დირექტორები: მ. მ. ალექსი, ი. ტავისი, ს. სულეიმანოვი).

წყალტუბოს ზონის უმრავლეს სკოლაში გამოცდები დაინიშნა დასვენების დღეებში, კონსულტაციები კი იმ დღეს, როდესაც კონსულტანტები გამოცდებზე იყვნენ დაკავებული (დირექტორები: ო. კობახიძე, უ. ჭიქია). არასწორად იყო დაცული შუალედები საგამოცდო საგნებს შორის: ალექბრასა და ანალიზის საწყისებისათვის ერთი დღე იყო გათვალისწინებული, ხოლო ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობისათვის 7 დღე და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 18 აგვისტოს № 750 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ და პირველ კლასებში ბაცშვთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მე-10 და სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ“ შეუსრულებლობასა და დარღვევის ქონდა აღგილი თბილის 38-ე საშუალო სკოლაში, რაც შემდეგში გამოიხატა: ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე შ. გორგოძე) ნება დართო 37-ე საშუალო სკოლის X კლასის ხუთოსანი მოსწავლის (იგი ოქტომბრის მედლის კანდიდატი იყო) მშობელს შვილის სხვა, კერძოდ, 38-ე საშუალო სკოლაში გადაყვანის შესახებ, თუმცა ამისათვის არავითარი პედაგოგიური დასაბუთება არ არსებობდა. ამხ. შ. გორგოძემ უტყუარ საფუძვლად მიიჩნია მშობლის განცხადება, არ მოითხოვა 37-ე საშუალო სკოლის დირექციის წერილობითი დასაბუთებული პედაგოგიური დასკვნა-მოსაზრება მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის აუცილებლობის შესახებ და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსთან შეთანხმების გარეშე დაავალა 38-ე საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. დ. პ. სტეცენკოს ბავშვის X კლასში ჩარიცხვა. თავის მხრივ ამხ. დ. პ. სტეცენკო კრიტიკულად არ მიუღვა საქითხს და უპრინციპობა გამოიჩინა ამ საქმეში, აღნიშნულმა მდგომარეობამ ეჭვი დაბადა სკოლის სხვა მშობლებს შორის, რაღაც 1978—1979 სასწავლო წელს 37-ე საშუალო სკოლაში იყო ოქტომბრის მედლის 7 კანდიდატი, ხოლო 38-ე საშუალო სკოლაში — 2. მათვიქტებელია, რომ მოსწავლის გადაყვანა სხვა სკოლაში განპირო-



ბებული იყო ამ გარემოებითაც, აღსანიშნავია ისიც, რომ 38-ე სახურალო  
შუალო სკოლის დირექტორმა ამხ. დ. პ. სტეცენომ განათლების სა-  
მინისტროდან თანხმობის მიღების გარეშე ოქროს მედლის კანდიდა-  
ტის მშობლებს ხელზე მისცა პედაგოგიური საბჭოს ოქმის ამონაწე-  
რი მოსწავლისათვის ოქროს მედლის მინიჭების შესახებ მაშინ, რო-  
დესაც ამის უფლება მას არ ქონდა.

რიგი სკოლების საგამოცდო კომისიის წევრები არაეთილსინ-  
დისიერად მოეკიდნენ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას,  
არ ახორციელებდნენ მკაცრ და ბოლომდე სამართლიან მოთხოვნებს,  
ყოველთვის ვერ ამჩნევდნენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდო-  
მებს, თავგამოდებით იცავდნენ იმ მოსწავლეთა ნამუშევრებს, რომ-  
ლებსაც ზემდგომმა კომისიებმა ნიშანი ჩამოაკლეს. ცდილობდნენ  
გაემართლებინათ მათში შემჩნეული შეცდომები. ამ მხრივ აღსანიშ-  
ნავია ქ. თბილისის 23-ე და 55-ე, 155-ე და სხვა საშუალო სკოლების  
მასწავლებლების: მ. კორძაძის, ვ. კალანდაძის და სხვათა არასწორი  
მოქმედება, ზოგ სკოლაში გამოცდებზე ადგილი ქონდა გადაწერის,  
ნამუშევრების ჩასწორების შემთხვევებსაც. მაჩნეულის რაიონის  
კულარის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. ახმედოვი) მე-8 კლა-  
სის ალგებრის წერით გამოცდაზე მოსწავლეები ერთმანეთისაგან  
იწერდნენ მასწავლებლის ნ. აბასოვის მიერ გამოყვანილ მაგალითებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი რაიონის (ქალაქის) განათლების  
განყოფილება უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სკოლებიდან წარმოდგე-  
ნილ ოქროს მედლით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა მასალების გან-  
ხილვის საქმეს, როგორც შემოწმებით დადგინდა, მათ წარმოადგი-  
ნეს ისეთი ნამუშევრები, რომლებიც არ იმსახურებდნენ „5“-ს, უფ-  
რო მეტიც, ზოგჯერ გამოდიოდნენ ნიშანდაკლებულ მოსწავლეთა  
„ქომაგებად“. ასე, მაგალითად ქ. თბილისის 34-ე საშუალო სკოლის  
ოქროს მედლის ერთ-ერთ კანდიდატს მშობლიურ ლიტერატურაში  
სკოლის მიერ დაწერილი „4“ რაიონის განათლების განყოფილებამ  
(გამგე — შ. გორგოძე, კომისიის თავმჯდომარე ს. ს. ტიტოიანი) აუ-  
მაღლა „5“-ზე იმ მოტივით, რომ თითქოს მოსწავლე ავად იყო გა-  
მოცდის დროს (?!). ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართვე-  
ლოს კომისიამ (ლ. ბირიუკოვა, ი. ბურშტეინი, ლ. კორჩემნაია, დამ-



ტკიცა ნიშანი „5“ ისე, რომ არ მიიღო მხედველობაში აღნიშნულ წარმატებას შერმში დაშვებული შეცდომები.

მედლის კანდიდატების წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს ადგილი ქონდა:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქ. ქ. ზუგდიდში (რ. მიქე-ნაია, ლ. იზირია), ქუთაისში (მ. ჩოგოვაძე, მ. კიჯნაძე, ნ. სარალიძე), ლანჩხუთის (ბ. კუნჭულია, მ. კუკულაძე, დ. მგელაძე, თ. ლომაძე, ვ. ბილიხვაძე), მცხეთის (დ. ძირია, ნ. ბრაჭული, ა. ამონაშვილი, ა. ვარდანაშვილი, მ. მგალობლიშვილი), გორის (თ. კალანდაძე, ვ. ჩიკოძე, ვ. მთვარელაძე), თიანეთის (რ. კვიცაშვილი, ქ. ბალურაშვილი, ნ. მახაროვა, თ. მამულაშვილი), თელავის (ნ. ნაზირიშვილი, ნ. კუხიანიძე, ქ. ხმიადაშვილი), ხაშურის (ელ. ციცქიშვილი, ტ. მექრავრ-შვილი) რაიონებში.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ქ. თბილისის ორგონიკიძის (რ. ი. დავითაშვილი, თ. ტოლსტოევა, ა. ამირხანოვა, უ. პროხოროვა, ლ. ლეონიძე, ლ. ივანოვა), ოქტომბრის (ს. ს. ტიტოიანი, ი. მეგრელიშვილი, ვ. ფედოროვა), 26 კომისრის (ო. შელემეტიევი, ლ. დიმიტრიევი, ვ. კოსიხი), ლაგოდეხის (მ. ზურაშვილი, უ. ღვინია-შვილი), წალკისა და თეთრიწყაროს რაიონებში.

მათემატიკაში ნამუშევრების გასწორების საქმეს ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ქ. თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრის, ორგონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებთან შექმნილი კომისიები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ოქროს მედლით დასახილდოებელ კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველმა კომისიებმა სულ ნიშანი დააკლო მედლის 51 კანდიდატს. ლენინის რაიონის განათლების განყოფილების მიერ (გამგე რ. გურგენიძე) წარმოდგენილი მედლის 13 კანდიდატის ნამუშევრიდან ნიშანი დააკლდა 3-ს; პირველი მაისის რაიონის (გამგე რ. გახელაძე) 25 მედლის კანდიდატის ნამუშევრიდან 10-ს; 26 კომისრის რაიონის (გამგე ზ. ბუაძე) 14 კანდიდატიდან 3-ს; ოქტომბრის რაიონის (გამგე შ. გორგოძე) 21 კანდიდატიდან — 7-ს; თეთრიწყაროს რაიონის (გამგე — ლ. ჭიშჩიხაძე) 7 კანდიდატიდან — 3-ს; თელავის რაიონის (გამგე ა. თვალიაშვილი) 9 კანდიდატიდან — 1; თიანეთის რაიონის (გამგე ვ. ობგაძე) 5 კანდიდატიდან — 1-ს;

ლანჩხუთის რაიონის (გამგე გ. ქინქლაძე). 7 კანდიდატიდან — 1-ს, მცხეთის რაიონის (გამგე თ. აბესაძე) 3 კანდიდატიდან 1-ს; სიღნალის რაიონის (გამგე ელ. დალაქიშვილი) 8 კანდიდატიდან — 5-ს; წალკის რაიონის (გამგე რ. მელტონიანი) 2-დან 1-ს; წყალტუბოს ზონის (გამგე მ. ინასარიძე) 2 კანდიდატიდან — 2-ს; ქ. ფოთის (გამგე ა. ხოჭოლავა) 4 კანდიდატიდან 1-ს; ქ. გორის (გამგე ნ. კახნიაშვილი) 5-დან 1-ს; ქ. ზუგდიდის (ც. მიქაილ) 4-დან 2-ს და ა. შ.

ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამართველოს და მასთან შექმნილი ოქროს მედლის კანდიდატთა ნაშრომების განმნილველი კომისიის მინდობილი საქმისადმი არაპრინციპული მიღვომა, რის შედეგადაც ქალაქის სახალხო განათლების სამართველოს მიერ წარმოდგენილ 30 კანდიდატს სამინისტროში უარი ეთქვა ოქროს მედლით დაჯილდოებაზე. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სკოლაშ და რაიონულმა კომისიებმა უარი უთხრეს ოქროს მედლით დაჯილდოებაზე. თავის მხრივ კი ქალაქის კომისიამ (მ. ცხონძე, მ. თათევოსოვა, ლ. ბირიუკოვა, ი. ბურშტეინი, ნ. კალინიჩენკო, ნ. ახობაძე, მ. ყირმელაშვილი, ლ. გამყრელიძე, ნ. მამუჩიშვილი, თ. ბურჯანაძე, ც: ჯალიაშვილი და სხვ.) დაუმსახურებლად კვლავ „5“-ზე შეაფასა ისინი, თუმცა ნაშრომებში დაშვებული შეცდომების რაოდენობა არ იძლეოდა ამის საშუალებას (ქ. აკობაშვილი — 37-ე საშუალო სკოლა, ნ. დავითაშვილი — 34-ე საშუალო სკოლა, ზ. ჩიქოვანი 140-ე საშუალო სკოლა, მ. ნინოშვილი — მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლა, გ. კვასხვაძე — 130-ე საშუალო სკოლა, გ. ზირაქიშვილი — 155-ე საშუალო სკოლა, ქ. გოგიაძე — 144-ე საშუალო სკოლა, მ. თევზაძე — მე-19 საშუალო სკოლა). ასევე არადამაყმაყოფილებლად იქნა შემოწმებული დანარჩენი 22 ოქროს მედლის კანდიდატის ნამუშევარიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ველიანის, ნ. დავითაშვილის, გ. ზირაქიშვილის, მ. ცერცვაძისა და ე. ნარინდოშვილის ნამუშევრების შეფასების ღროს დაშვებული ლიბერალიზმი და უპრინციპობა.

ასანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამართველომ „1978—1979 სასწავლო წელს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალოსან, „5“ და „4,5“ ქულიანი ატესტატის მქონე კურსდამთავრებულთა უმაღლეს



სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“ სკოლური განვითარების თხის განხილვისას ყურადღება არ გამახვილა ზემოაღნიშნულ ნასალოვანებებზე, დაშვებული შეცდომების გამო არ იმსჯელა სასკოლო, სარაიონო და საქალაქო კომისიების წევრთა პასუხისმგებლობაზე, არ გაანალიზა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამომწევევი მიზეზები და შემოიფარგლა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩატრილ კურსდამთავრებულთა ციფრობრივი მასალების განხილვითა და მის შედეგებზე ქალაქის სკოლების მუშავთა დასგით. გასათვალისშინებელია ისიც, რომ ქ. თბილისში მაღალქულიანი ატესტატები მიიღო 2209 მოსწავლემ, მათგან, არასრული (მხოლოდ სამი ინსტიტუტის) მონაცემებით, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე ჩატრია — 1053, ე. ი. 51%!

ოქროს მედალოსნობის კანდიდატთა საგამოცდო ნამუშევრების გასწორებისადმი სასკოლო, რაიონული და საქალაქო კომისიების ლიბერალურმა და არაბრინიციალმა დამოკიდებულებამ საფუძველი მისცა ზოგიერთი მათგანის მშობლებს ეჭვი შეეტანათ სამინისტროს კომისიის მიირ ეპორიანილი ჯარაშემორილების სამართლიანობაში და აღეძრათ საჩივრები სხვადასხვა ზემდგომ ორგანოებში. საჩივრების უძრავლესობაში აღნიშნული იყო, რომ მათი შეიძლები წლების მანძილზე „წუთოსნებად“ ითვლებოდნენ, თუმცა ამ მოსწავლეთა საგამოცდო ნაშრომებში დაშვებული შეცდომები აშკარად მიუთითებენ ლიტერატურისა და მათემატიკის სასკოლო კურსის სხვადასხვა საკითხებში მოსწავლეთა არამყარ და არასისტემატურ ცოდნაზე. აღნიშნული უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზეც დადასტურდა. იმ კურსდამთავრებულების დიდმა ნაწილმა, რომელსაც განათლების სამინისტროში უარი ეთქვა ოქროს მედლით დაჯილდოებაზე, მისაღებ გამოცდებზე ვერ შეძლო სკოლაში მიღებული ნიშნების გამართლება, ნაწილი ჩატრია:

ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლიდან მ. რ. იოსებაშვილი — ფიზიკაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი — ლ. მ. ფილიშვილი), მე-19 საშუალო სკოლიდან გ.ბ. თევზაბე—ქიმიაში (ყოფილი დირექტორი რ. ეჭუბოვი), 38-ე საშუალო სკოლიდან ი. ს. ველიანი — მათემატიკაში (დირექტორი დ. პ. სტეცენკო); 34-ე საშუალო სკოლიდან ნ. ი. დავითაშვილი — ბიოლოგიაში. თიანეთის რაიონის ტუშურების საშუალო სკოლიდან ნ. ნ. სისაური — ფიზიკაში



(დირექტორი ა. გ. ციხელაშვილი), ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლაში დიდან დ. ნ. ჩიკაშვილი — ფიზიკაში (დირექტორი მ. ა. მოისწრაფიშვილი), სიღნაღის საშუალო სკოლიდან ნ. კ. ხეჩიოვი — მათემატიკაში (დირექტორი — მ. ჩალაბაშვილი), ხაშურის მე-4 საშუალო სკოლიდან მ. გ. თიბილაშვილი — ფიზიკაში (დირექტორი ა. ა. შათორაშვილი), ქ. ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლიდან ვ. ვ. მატუა ფიზიკაში (დირექტორი დ. ლ. აბსაგა), ნაწილს ქულები არ ეყო და ა. შ.

სწავლების საქმეში არსებული ფორმალიზმი ნათლად გამოვლინდა მედლის კანდიდატებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ აბიტურიენტთა დაბალ მომზადებაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ფიზიკაში. საგამოცდო ნამუშევრებში დაშვებულმა შეცდომებმა გამოივლინა აღნიშნული სასწავლო დისკიპლინების სასკოლო კურსის საკითხებში იმ მოსწავლეთა არამყარი და არასისტემატური ცოდნა, რომლებიც წლების მანძილზე „ხუთოსნებად“ ითვლებოდნენ.

საშუალო სკოლადამთავრებულთა უმრავლესობაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სუსტად იცის შესწავლილი ლიტერატურული მასალა, განსაკუთრებით ტექსტები; არ გაჩნიათ ცხოვრების სეული და ლიტერატურული მოვლენების დამოუკიდებლად შეფასების უნარი, თავისუფალი თემის სწორად გააზრების, დამაჯერებელი, დასაბუთებული მსჯელობის, ლოგიკური და სურათოვანი აზროვნების ჩვევა, ღარიბია მათი ლექსიკური მარაგი, დაბალია წიგნიერება, თვალში საცემია არაფრისმთქმელი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი ფრაზები, პრიმიტიული აზრები, ზოგან ციტირებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ლექსები. მარტო ის ფაქტი, რომ თავისიუფალი თემა — „შრომაში იბადებიან გმირები“ დაწერა მედლის კანდიდატთა 15%-მა თავისთვის იმაზე მეტყველებს, რომ დაბალია წიგნიერება, საერთო განათლების დონე. ახალგაზრდებს არ ძალუდა თხზულება დამოუკიდებლად და ორიგინალურად გააშუქონ. ამ თემასთან დაკავშირებით ვხვდებით ნაწერებს, რომელთა ძირითად ნაწილს არაფერი აქვს საერთო სათაურთან, მსჯელობა პრიმიტიული და ალოგიკურია. დაშვებულია აზრობრივი, ორთოგრაფიული, სტილისტიკური, გრამატიკული და სხვ. სახის შეცდომები. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოც



დების დროს საშუალო სკოლის მაღალი ქულის მქონე კურსერთვის უძრავია. ცავრებულთა ერთმა ნაწილმა ქართულ ლიტერატურაში დაბალი მომზადება გამოამჯელოვნა. მათ მიერ შესრულებული ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში სქემატურია. მეტწილად დარღვეულია ფაქტები და ერთმანეთში არეულია მოქმედ პირთა სახეები. უხეშ სტილისტიკურ შეცდომებთან ერთად გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც, გაუმართავი წინადადებები და სხვ.

დაახლოებით იგივე სურათი გამოიკვეთა მათემატიკაშიც. კურსდამთავრებულთა ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს მათემატიკის სასკოლო კურსის მტკიცე ცოდნა, არ შესწევს მათემატიკური მსჯელობისა და დასაბუთების უნარი, არა აქვს გამომუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, მათემატიკურ გარდაქმნებში უხვად არის მცდარი ჩანაწერები, გადაშლები, ამოფხევები, ჩამატებები. იშვიათად გვხვდება მოკლე, მათემატიკურად გამართული დასაბუთებები. შეგნებულად ვერ იყენებენ ფორმულებს, არ ჩანს მოსწავლეთა განვითარებული ლოგიკური აზროვნების უნარი, წერითი მეტყველების კულტურა, საზრიანობა-მიხევდრილობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და კეთილსინდისიერება. მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომათა უმეტესი ნაწილი წინა კლასებში გავლილი მასალის არასაქმაო ცოდნით არის გამოწვეული. მათში ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული ახალი სიმბოლიკის გამოყენების ჩვევები, ერთმანეთში ურევენ გამომდინარეობისა და ტოლფარდობის ნიშნებს, არ არიან დაუფლებულნი რიცხვითი შუალედების ჩაწერას, ვერ ანსხვავებენ სიმრავლეთა გაერთიანებასა და თანაკვეთას, რის გამოც განტოლებათა და განტოლებათა სისტემის ამოხსნისა და პასუხების ჩაწერისას დაშვებული აქვთ შეცდომები. უჭირთ რთული ფუნქციის გაწარმოება, არ იციან გრაფიკის წვერის კოორდინატების მოძებნა და სხვ.

ამასთან ერთად, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელ მათემატიკაში მაღალი ნიშნის მქონე აბიტურიენტთა ნაშრომების შერჩევითი გადასინჯვისას გამოვლინდა მათი დაბალი აყადემიური დონე, უმრავლესობაშ არ იცის: პარალელობისა და კონგრუენტობის ნიშნების გამოყენება, ორი ფუნქციის ჯამის, ნამრავლის, განაყოფის, მრავალწევრისა და მუდმივის წარმოებული, წარმოებულის გამოყენება ფუნქციის გა-

მოსაკულევად, უზენჯიის სრდადობისა და კლებადობის საქმარხოში გამოიყენები, ტრიგონმეტრიულ ფუნქციათა ძირითადი თვისებები. შეკრების ფორმულები და მათი შედეგები, ფუნქციების: სინუსის, კოსინუსისა და ტანგენსის თვისებები და გრაფიკები. უხეშ შეცდომებს უშვებენ მაჩვენებლიანი, ლოგარითმული და ტრიგონმეტრიული განტოლებების ამოხსნისას და ფუნქციათა ზღვრების მაგალითების გამოყვანისას. ვერ ხსნიან ამოცანებს გეომეტრიული სხეულების მოცულობებისა და ზედაპირების გამოანგარიშებებზე. აბიტურიენტთა ნაწილს მიცემული დავალების არც ერთ საკითხზე არ გაუცია პასუხი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მაღალქულიანი ატესტატების მფლობელ აბიტურიენტთაგან არადამაკაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა 65,1%; ხოლო სკოლის ნიშანი შეინარჩუნა მხოლოდ 12,2%-მა.

ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შემსვლელ აბიტურიენტთა ფიზიკის ნამუშევართა შერჩევითი გადასინჯვისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა ვერ ხსნის ამოცანებს, არ იციან მექანიკური, ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები, ატომისა და ატომბირთვის ფიზიკა, ელექტრომაგნიტური ინდუქცია, ელექტროსტატისტიკური ველის მახასიათებელი. არაზუსტად წერენ ფიზიკური სიდიდეებისა და მათი ერთეულების განსაზღვრებას, ვერ წერენ ფიზიკურ განტოლებებს ვექტორული სახით.

1979 წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საშივე ფორმაზე მისაღებ გამოცდებს აბარებდა 58740 აბიტურიენტი, როგორთაგან სხვადასხვა საგანში არადამაკაყოფილებელი შეფასება მიიღო 40.335-მა. ოქროს მედლით დაჯილდოებულ 311 კურსდამთავრებულთაგან, არასრული მონაცემებით, უგამოცდოდ ჩაირიცხ — 33, მაპროფილებელი საგნით — 107, ექსპერიმენტის წესით — 11, საერთო კონკურსით — 27, არ გასულა გამოცდაზე — 28, შეწყვიტა გამოცდები — 48, ქულა არ ეყო — 40, ჩაიჭრა — 15 (თბილისის მე-5 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ს. დუმბაძე, საგნის მასწავლებელი ვ. აქიტოვილი), ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლიდან (დირექტორი ლ. მ. მებურიშვილი, საგნის მასწავლებელი — გ. ზ. შათირიშვილი), თელავის მე-4 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ლ. ა. კაჯულია, საგნის მასწავლებელი — ვ. ვ. გოგიაშვილი), თელა-



ვის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი — ა. ა. წიკლაური), საშუალო ნის მასწავლებელი — ქ. ზ. დარჩიაშვილი), ასპინძის საშუალო სკოლიდან (2) (დირექტორი დ. ი. ცინცაძე, საგნის მასწავლებელი თ. ვ. ჯვარიძე), სიღნაღის რაიონის სოფელ წნორის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი — ს. ს. ბოსტოლანაშვილი, საგნის მასწავლებელი მ. ი. მჭედლიშვილი), ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი — მ. გ. ხვთისიაშვილი, საგნის მასწავლებელი მ. ა. სეფაშვილი), ყვარლის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი — დ. ი. ზუბიტაშვილი, საგნის მასწავლებელი — მ. ი. მოლაშვილი), კასპის 1-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი — დ. ი. ხუსკივაძე, საგნის მასწავლებელი — მ. შ. მჭედლიძე), ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი — ნ. გ. წერეთელი, საგნის მასწავლებელი — ნ. ი. მოდებაძე), დმანისის რაიონის სოფელ ჯიახის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ვ. ღამბაშიძე, საგნის მასწავლებელი — ნ. ი. ასლამაზიშვილი), ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. პ. ხალვაში, საგნის მასწავლებელი თ. ვ. ასკურავა), ქარელის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი — მ. გ. გაგლოევი, საგნის მასწავლებელი რ. ა. ახალია), ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის საშუალო სკოლიდან (დირექტორი — ფ. ქ. ხურცილავა, საგნის მასწავლებელი — ე. მარგარინი).

